ბრძანება:**ბ11. 44251218**

თარიღი:**01/05/2025**

ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისები“–ს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ა/ა/იპ „სპეციალურ სერვისები“–ს საწარმოს ეკონომიკური ინტერესებისა და საქმიანობის სრულყოფილების მიზნით ვიხელმძღვანელე რა ა/ა/იპ „სპეციალური სერვისები“–ს წესდების მე–5 მუხლის მე–2 ნაწილის „ბ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით მინიჭებული უფლებებით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2024 წლის 25 იანვრით №44.44240251 გამოცემული ბრძანები მე–3 მუხლის 22–ე პუნქტის და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2025 წლის 28 აპრილით დათარიღებული სასაქონლო ექსპერტიზის № 5002397825 დასკვნის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ა/ა/იპ „სპეციალურ სერვისები“–ს საწარმოს ეკონომიკური ინტერესებისა და საქმიანობის სრულყოფილების მიზნით საწარმოს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ნარჩენების ბრიკეტირებისათვის განკუთვნილი ვერტიკალური ჰიდრავლიკური წნეხის მეშვეობით, /გამოყენებით/ მიღებული პროდუქციის რეალიზაცია განხორციელდეს საჯარო აუქციონის მეშვეობით.

2. საჯარო აუქციონის გამოცხადების დროს გათვალისწინებული იქნეს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2025 წლის 28 აპრილით გაცემული სასაქონლო ექსპერტიზის №5002397825 დასკვნით განსაზღვრული 1 კგ მუყაოს საბაზრო ღირებულება.

3. ბრძანებაზე კონტროლი და შესრულება, კერძოდ საჯარო აუქციონზე გამოსატანი მზა პროდუქციის ოდენობის განსაზღვრა და გამარჯვებულ მხარესთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმება დაევალოს საწარმოს დირექტორის მოადგილეს ფინანსურ საკითხებში ბატონ კახაბერ ბოჭორიშვილს და ამავე საწარმოს შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს გია ბენიძეს.

4. ბრძანების შინაარსი გაეცნოს დაინტერესებულ პირებს კანონით დადგენილი წესით და ვადებში.

5. ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 01 მაისიდან და ვრცელდება ცვლილების ასახვამდე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თენგიზ არსენიძე

სპეციალური სერვისები-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი